ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N2

25.11.2025
სხდომის ჩატარების
ადგილი:
ქალაქ ქუთაისი
ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩაატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა ჩიხლაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, ელეონორა არჩაია, მიხეილ გიორგაძე, სალომე სარალიძე.

მოწვეული სტუმარი:

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ანა ერემეიშვილი და ლიკა ჩახუნაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ჩიხლაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს უყარა კენჭი და დაადგინა: **დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.**

მანანა ჩიხლაძე: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს წარმოადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

ვარლამ გობეჯიშვილი: მოგესალმებით, მინდა მოგვაინებით მოგილოცოთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული, გისურვოთ ჯანმრთელობა და ბევრი წარმატება, რაც შეეხება 2026 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა ბიუჯეტის პროექტს მისი ბიუჯეტე გაიზარდა და შეადგენს 8 974 500 ლარს, მე არ შეგაწყენთ თავს ყველა პროგრამის ჩამოთვლით მოგახსენებთ მხოლოდ იმ პროგრამებს, რომელებშიც გვჭირდება შევიდეს ცვლილებები.

1. სოციალური ღონისძიებების ქვეპროგრამაში, ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დახმარებით ისარგებლა 4008 ბენეფიციარმა, მათ შორის:

2004 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტისა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომებში დაღუპული გმირების ოჯახის წევრებს 3 მარტს გადაეცათ მატერიალური დახმარება - 9 ბენეფიციარი; ავღანეთის ომის მონაწილეები -50; 100 წლის ბენეფიციარი - 5; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფის ლიკვიდაციის მონაწილე ბენეფიციარები-51; აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები- 3850 და შშმ 18 წლამდე პირების საკურორტო მომსახურება-43 ბენეფიციარიმა, გვინდა, რომ შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურეობის ვაუჩერი გაიზარდოს 500 ლარიდან 800 ლარამდე ანუ თითოეულ პერსონაზე (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/შვილი) 400 ლარი.

2. მედიკამენტების დახმარების ქვეპროგრამაში, უფრო მეტი ბენეფიციარის დაკმაყოფილებილების მიზნით, მოსარგებლეთა სარეიტინგო ქულა 100 000 დან გაიზარდოს 120 000-მდე.

3. სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში, ონკოლოგიურ პაციენტთა წლიური ლიმიტი გაიზარდოს 1500 ლარიდან 2000 ლარამდე.

4. ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამაში, 18 წლამდე ბენეფიციარების დახმარება გაიზარდოს 100 ლარით და

გახდეს 200 ლარი, ხოლო 18 წლიდან ბენეფიციარებს თვეში დახმარება გაუხდეს 400 ლარი.

5. მართებულად მიგვაჩნია, რომ მედიკამენტების დახმარების ქვეპროგრამას გამოეყოს ახალი ქვეპროგრამა — „ჰემოდიალიზზე მყოფ პირთა დახმარების ქვეპროგრამა“ და დაფინანსდეს 240 000 ლარით.
6. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 2 535 000 ლარით, 490 ბენეფიციარზე.

ელეონორა არჩაია: ვინმე თუ არის ორგანიზაცია, რომელსაც შემოაქვს წვლილი აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის თანადაფინანსებაში?

ვარლამ გობეჯიშვილი: არა, მთლიანად თვითმმართველობა აფინანსებს.

მიხეილ გიორგაძე: როგორც გასულ წლებში, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტიც ორიენტირებულია იმაზე, რომ შევუმსუბუქოთ ყოფა ადამიანებს, და მე ამას მხოლოდ მივესალმები.
მანანა ჩიხლაძე: მადლობა თითოეულ თქვენგანს, განსაკუთრებული მადლობა ბატონ ვარლამს, რადგან გასული 4 წლის განმავლობაში, ვისაც გვისაუბრია და გვიმუშავია ბატონ ვარლამთან ერთად, ვიცით, როგორი კომფორტულია მასთან მუშაობა. დარწმუნებული ვარ, ოჯახს ძალიან აკლია, რადგან ყოველთვის ორიენტირებულია საქმეზე და თითოეულ ბენეფიციარზე. ბიუჯეტის განხილვისას მუდამ მზად იყო სამუშაო შეხვედრებისთვის.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ყველა ოცდაშვიდივე პროგრამა საინტერესო და მნიშვნელოვანი და ცნობილია დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, ხოლო ცალკე გამოვყოფ იმ პროგრამებს, სადაც ცვლილებები გაქვთ.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში ცალკე გამოყოფილია ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტთა მხარდაჭერა — დიდი მადლობა ამისთვის, რადგან მათთვის დიდი კომფორტია, რომ აღარ უწევთ უამრავი ბიუროკრატიული საკითხის გავლა. ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისთვის 200 ლარით დახმარება მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.

ასევე, ონკო–პაციენტების დახმარება გაიზარდა 500 ლარით და გახდა 2000 ლარი. რთულია ამ პაციენტების მდგომარეობა, თუმცა ვიცით, რომ ამ პათოლოგიის

გამოვლენა განაჩენი არ არის — დროულად აღმოჩენილი პრობლემა ექვემდებარება მკურნალობას. ვუსურვებ ამ პაციენტებს ჯანმრთელობას და საჭიროებების არქონას.

ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულთა დახმარებაც: 18 წლამდე ბენეფიციარების დახმარება განისაზღვროს 200 ლარით, ხოლო 18 წელს ზემოთ — 400 ლარით. სამწუხაროდ, სრულ ხარჯებს ვერ ვანაზღაურებთ, თუმცა ვისურვებდი, რომ მომავალში ქვეყანას ჰქონდეს მათი სრული დაფინანსების შესაძლებლობა.

აუტიზმის პრობლემა დღევანდელობაშიც მწვავეა. დასაფინანსებლად განსაზღვრულია 490 ბენეფიციარი. სერიოზული თანხაა გამოყოფილი — 2 535 000 ლარი. 20 სეანსის დაფინანსება მცირე მხარდაჭერა ნამდვილად არ არის. ვისურვებ, მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს, თუმცა მადლობა უკვე არსებულ მხარდაჭერაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პროგრამებს, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების დასახმარებლადაა მიმართული. მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულ და შშმ პირებს შეეძლოთ წელიწადში ერთხელ ურეკში დასვენება, ისევე როგორც 3–დან 18 წლამდე ბენეფიციარების შემთხვევაში.

არ მინდა გამორჩეს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაც. მიხარია, რომ აღმოჩნდა მეტი მრავალშვილიანი ოჯახი, ვიდრე მოსალოდნელი იყო — ეს მართლაც სასიხარულო ამბავია და მგონია, მოტივაციას ზრდის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პატრიარქი გახდა მესამე და მომდევნო შვილის ნათლია. მადლობა თქვენ ასეთი მხარდაჭერისთვის.

მინდა, ხელის აწევით დავუჭიროთ მხარი წარმოდგენილ ცვლილებებს:

1. სოციალური ღონისძიებების ქვეპროგრამაში შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურეობის ვაუჩერი გაიზარდოს 500 ლარიდან 800 ლარამდე, ანუ თითოეულ პერსონაზე (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/შვილი) 400 ლარი.
2. მედიკამენტების დახმარების ქვეპროგრამაში, უფრო მეტი ბენეფიციარის დაკმაყოფილების მიზნით, სარეიტინგო ქულა 100 000–დან გაიზარდოს 120 000-მდე.
3. სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში ონკოლოგიურ პაციენტთა წლიური ლიმიტი გაიზარდოს 1500 ლარიდან 2000 ლარამდე.

4. ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამაში, 18 წლამდე ბენეფიციარების დახმარება გაიზარდოს 100 ლარით და გახდეს 200 ლარი, ხოლო 18 წლიდან — თვეში 400 ლარი.
5. მედიკამენტების დახმარების ქვეპროგრამას გამოეყოს „ჰემოდიალიზზე მყოფ პირთა დახმარების ქვეპროგრამა“ და დაფინანსდეს 240 000 ლარით.
6. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 2 535 000 ლარით, 490 ბენეფიციარზე.

ელეონორა არჩაია: მე თავს შევიკავებ ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქალბატონი ელეონორას გარდა, ყველა კომისიის წევრმა მოიწონა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ცვლილებები; მხოლოდ ქალბატონმა ელეონორამ თავი შეიკავა.

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
მანანა ჩიხლაძე